



ფინანსური მდგრადობის კრიტერიუმები და ინდიკატორები საბანკო დაწესებულებაში

რეზიუმე

ირმა ლომაძე

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: irma_lom@yahoo.com

სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, განხილულია ფინანსური მდგრადობის კრიტერიუმები და ინდიკატორები საბანკო დაწესებულებებში.

ანალიზმა აჩვენა, რომ ფინანსური მდგრადობის შეფასებისას გამოიყენება მრავალი მეთოდიკა, რომლებიც განსხვავებულია ერთმანეთისგან მაჩვენებლების (ინდიკატორების) მიხედვით, და რომლებიც გვთავაზობენ ფინანსური მდგრადობის აგერგირებულ მაჩვენებელს.

ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები წარმოდგენილია ორ ჯგუფად ძირითადი და რეკომენდებული. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსური მდგრადობის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშება ყველა ქვეყნისთვისაა სავალდებულო, ხოლო რეკომენდებული მაჩვენებლები კი გამოიყენება საჭიროებისამებრ ამა თუ იმ კონკრეტული სახელმწიფოში, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე.

ფინანსური მდგრადობის ძირითადი ინდიკატორები მოიცავს კოეფიციენტებს, მახასიათებლებს კაპიტალის ადეკვატურობის, აქტივების ხარისხის, მოგებისა და რენტაბელობის, ლიკვიდობისა და ბაზარზე რისკის მიმართ მგრძობიარობაზე.

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი პირობებისა და ფაქტორების განხილვა საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე აუცილებელია, ფინანსური მდგრადობის ინდიკატორები განიხილული იქნას არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, არამედ ერთმანეთთან კავშირში, რათა მივიღოთ მოცემულ ქვეყანაში საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის უფრო სრული და ხარისხიანი სურათი.

საკვანძო სიტყვები: წმინდა საპროცენტო მარჟა, ინდიკატორი, ფინანსური მდგრადობა, კაპიტალის ადეკვატურობა, ბალანსის ლიკვიდურობის დონე, რისკმენეჯმენტი, საბანკო სისტემის კაპიტალიზაცია.

შესავალი: ეკონომიკური უსაფრთხოების ამოცანა არის მოსალოდნელი ეკონომიკური საფრთხეების გამოვლენა და მათი აღმოფხვრისათვის ადეკვატური ზომების მიღება. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა დგება შიდა და გარე მადესტაბილიზებელი ფაქტორების არსებობის წინაშე. ამიტომ, ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ფორმირებისას განხილულ უნდა იქნას როგორც შიდა, ისე გარე ეკონომიკური ფაქტორები, მოხდეს მათ მიერ მოსალოდნელი საფრთხეების მონიტორინგი, დადგინდეს შესაბამისი ინდიკატორები და შემუშავდეს ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ წონასწორობას.

ეკონომიკის გლობალიზაციამ, საქონლისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობამ, ქვეყნის დამოკიდებულება მსოფლიო ბაზარის სიტუაციაზე, არა მდგრადობამ საერთაშორისო ბაზარზე და კრიზისებმა სხვადასხვა ქვეყნებში, გამოიწვია საბანკო სისტემის მდგრადობის მიმართ კონტროლის მნიშვნელობის ზრდა¹. შემოუთება საკრედიტო დაწესებულებების მდგომარეობაზე გაცდა სახელმწიფოს საზღვრებს და ავიდა საერთაშორისო დონეზე. ჩვენი აზრით, ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რადგან დღევანდელი განვითარება და ინტეგრაციის ზრდა ხელს უწყობს ფინანსური არამდგრადობის რისკის გაზრდას ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში და წარმოიშობა ჯაჭვური რეაქცია. შედეგად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მრავალჯერადი კვლევების შედეგების საფუძველზედამხარდაჭერით, წვერი ქვეყნების, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ, 2004 წელს შემუშავებული და დამტკიცებული იქნა ფინანსური მდგრადობის ინდიკატორები-სძირითადი ჯგუფები.

კვლევის შედეგები: პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ფინანსური მდგრადობის შე-

¹ ბანკის ფინანსური მდგრადობა და კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს ბანკის ხარისხის ძირითად მახასიათებლებს, რომელიც ფორმირდება მის საქმიანობაში დაინტერესებული სხვადასხვა მხარეების მიზნობრივი მოთხოვნებით. ასე მაგალითად, კლიენტი ორიენტირებულია მომსახურების მიღებაზე მოსალოდნელი მახასიათებლებზე.



ფასებისას გამოიყენება მრავალი მეთოდიკა, რომლებიც განსხვავებულია ერთმანეთისგან მაჩვენებლების (ინდიკატორების) მიხედვით, და რომლებიც გვთავაზობენ, ფინანსური და სხვა მდგრადობის აგერგირებულ მაჩვენებელს.

საბანკო სისტემის ფინანსურ მდგრადობის შესაფასებლად სპეციალისტებს მოჰყავთ ორი მნიშვნელოვანი ინდიკატორი: პირველი ეს არის კომერციული ბანკების ჯამური ხარჯების (სესხებზე დანაკარგების რეზერვების გამოკლებით) შეფარდება მთლიან შემოსავლებთან, ხოლო მეორე კი წმინდა საპროცენტო მარჟა.

საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა წარმოადგენს კომპლექსურ მაჩვენებელს, რომელიც ასახავს ბანკის საიმედოობის მაჩვენებელს გარე ზეგავლენების მიმართ. ის მოიცავს ბანკის, როგორც საბანკო სისტემის ელემენტის, მდგომარეობის შემდეგი მაჩვენებლების შეფასებას: კაპიტალის სტრუქტურა და მისი საკმარისობა რისკების დასაფარავად, ბალანსის ლიკვიდურობის დონე, აქტივების სტრუქტურა და ხარისხი, რისკების მართვის პოლიტიკა, რისკმენეჯმენტის ორგანიზების ხარისხის კონტროლი.

გამოყოფენ ბანკების ფინანსური მდგრადობის გაზომვისა და შეფასების რამოდენიმე მეთოდს. ერთერთი მათგანი ეფუძნება კოეფიციენტების ჯგუფების გამოთვლას, რომლებიც ასახაობენ საბანკო სექტორის ფინანსურ მდგრადობას სხვადასხვა მხრიდან.

ფინანსური მდგრადობის შემდეგი მაჩვენებლები ფინანსური მდგრადობის მიმდინარე მაჩვენებლებია როგორც ქვეყნის მთლიანი საკრედიტო სისტემისთვის, ასევე კორპორაციული სექტორისა და შიდა მეურნეობებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ინსტიტუტების კლიენტებს.

ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები იყოფა ორ ჯგუფად: ძირითადი და რეკომენდირებული. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსური მდგრადობის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშება ყველა ქვეყნისთვისაა, ხოლო რეკომენდირებული მაჩვენებლები შეიძლება იყოს გამოყენებული საჭიროებისამებრ ამა თუ იმ კონკრეტული სახელმწიფოსთვის, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე.

ფინანსური მდგრადობის ძირითადი ინდიკატორები მოიცავს კოეფიციენტებს, მახასიათებლებს კაპიტალის ადეკვატურობის, აქტივების

ხარისხის, მოგებისა და რენტაბელობის, ლიკვიდობისა და ბაზარზე რისკის მიმართ მგრძნობიარობაზე.

ასე, მაგალითად, ფინანსური მდგრადობის ძირითადი მაჩვენებლებია:

1. კაპიტალის ადეკვატურობა

• საზედამხედველო კაპიტალი / რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან;

• საზედამხედველო კაპიტალი / I რიგის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან;

• წმინდა უმოქმედო სესხები / კაპიტალთან.

2. აქტივების ხარისხი

• თანაფარდობა უმოქმედო კრედიტებისა და სესხებისა მიმდინარე კრედიტებისა და სესხების მოცულობასთან;

• გაცემული (დასაქმებული) სესხების თანაფარდობა მიმდინარე კრედიტებისა და სესხების მოცულობასთან.

3. მოგება და მომგებიანობა

• უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA);

• უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE);

• წმინდა საპროცენტო შემოსავლებ / ერთობლივი შემოსავალთან;

• არასაპროცენტო ხარჯები/ერთობლივი შემოსავალთან;

• სხვაობა სესხების და დეპოზიტების გაანაკვეთებს შორის.

4. ლიკვიდურობა

• ლიკვიდური აქტივები/მთლიან აქტივებთან;

• ლიკვიდური აქტივები/ მიმდინარე ვალდებულებებთან;

• კლიენტების დეპოზიტები /მთლიან სესხებთან;

5. მგრძნობიარობა საბაზრო რისკების მიმართ (სავალუტო რისკი)

• წმინდა ღია უცხოური სავალუტო პოზიცია/ საზედამხედველო კაპიტალთან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ფინანსური მდგრადობის ინდიკატორები განხილული იქნან არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, არამედ ერთმანეთთან კავშირში, იმიტომ რომ მივიღოთ უფრო სრული და ხარისხიანი სურათი მოცემულ ქვეყანაში საბანკო სისტემის ფინანსურ მდგრადობაზე.

საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის მონიტორინგისთვის, ბანკების მიერ შემუშავებულ იქნა ინდიკატორები, რომელიც ეფუძნება ფართოდ ცნობილ „CAMEL“ პრინციპებს. შეფასების ამ მოდელს დღეისათვის იყენებს მრავა-

ათელებით და ბანკის მაღალი საიმედოობის უზრუნველყოფით; ინვესტორები და აქციონერები ორიენტირებული არიან ბიზნესის საბაზრო ღირებულების ზრდაზე, ფინანსურ მდგრადობასთან ერთად; ბანკის მენეჯმენტი - მდგრად განვითარებაზე, ფინანსურ სტაბილურობაზე და კონკურენტუნარიანობაზე; სახელმწიფო ზედამხედველობის და კონტროლის ორგანოები - კრედიტორებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვაზე.



ლი ბანკი მსოფლიოში².

ასევე, მოცემულ ქვეყანაში საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის ანალიზის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შეიძლება გამოყენებულ იქნას რიგი მაჩვენებლებისა, რომლებიც სარეკომენდაციო ხასიათისაა:

- კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობა;
- ღია მსხვილი პოზიციის დამოკიდებულება კაპიტალთან;
- გეოგრაფიულად განაწილებული კრედიტების შეფარდება/საერთო კრედიტებთან და სესხებთან;
- მთლიანი აქტივების პოზიცია / ფინანსური ინსტრუმენტების აქტივების მხარე კაპიტალთან;
- მთლიანი აქტივების პოზიცია / ფინანსური ინსტრუმენტების პასივების მხარე კაპიტალთან;
- სავაჭრო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი/ საერთო შემოსავალთან;
- პერსონალის ხარჯები /არასაპროცენტო ხარჯებთან;
- გავრცელებული განაკვეთები სესხებზე და დეპოზიტებზე;
- გავრცელებული ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ბანკთაშორის განაკვეთები;
- კლიენტების დეპოზიტები/ მთლიან კრედიტებთან და სესხებთან;
- უცხოური ვალუტის ვალდებულებები/ ჯამურ ვალდებულებებთან.

ზემოაღნიშნული სარეკომენდაციო ხასიათის ინდიკატორები იძლევა საშუალებას საბანკო სექტორის მდგომარეობის შესასწავლად. ფინანსური მდგრადობის რეგულირებისა და გააუმჯობესებისთვის ამ ინდიკატორების მონიტორინგი დინამიკაში და დროული ზომების მიღება დესტაბილიზაციის თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალურ ბანკებს, ასევე მთელ საბანკო სისტემას, რათა თავიდან აიცილონ მომავალი კრიზისის გამწვავება მთელ ეკონომიკაში.

საკრედიტო დაწესებულებებში ფინანსური მდგრადობის სახეობებს /კრიტერიუმებს, მაკროეკონომიკური მდგომარეობის, ფინანსური ბაზრის პირობებისა და ფინანსური ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გათვალისწინებით ადგენენ სამეთვალყურეო-მაკონტროლებული ორგანოები. ამ ინდიკატორების საშუალებით შესაძლებელია დადგინდეს საბანკო სისტემის კრიზისის ხარისხი და/ან ფინანსური მდგრადობის

დონე საკრედიტო დაწესებულებებში. ამ შემთხვევაში კრიტერიუმი განიხილება როგორც ხარისხის დონის ინდიკატორი.

ზოგადად, „კრიტერიუმი“, როგორც ცნება, გვიბიძგებს ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისკენ. მნიშვნელოვანია, რომ ზუსტად დადგინდეს, თუ რა მოვლენაზე (საგანზეა) საუბარი. ჩვენი კვლევის საგანი, არის მრავალ განზომილებიანი იმ გაგებით, რომ, მიუხედავად თავისი საკუთარი არსისა ამავედროულად, საბანკო სისტემა და საკრედიტო დაწესებულებები დამოკიდებულია გარემო ფაქტორებზე. რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლისა და ასევე ბუნებრივი გარემო ფაქტორები. როგორც არ უნდა იყოს განხორციელებული შეფასება, პირველ რიგში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ზემოქმედ ფაქტორებს და ინდიკატორების მაკროეკონომიკურ მახასიათებლებს.

მაკროეკონომიკური ინდიკატორები იძლევა საშუალებებს პარამეტრების ცვლილებების ორიენტაციაზე და შეიძლება მიგვითითოს ღირებულ და განსაკუთრებულ მაკროსაშუალებებზე. მაგალითად, სახელმწიფოს პრეკრიზისულ მდგომარეობაზე. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იძენს მათი კრიტიკული მნიშვნელობა, რომლის დროსაც საკრედიტო დაწესებულებებში შეიძლება შეირყეს ფინანსური სტაბილურობის ხარისხი.

მაკროეკონომიკური გარემოს მდგომარეობის ერთერთი შემაჯამებელი ინდიკატორი არის ინფლაცია. კვლევებმა აჩვენა, რომ ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი (20%-ზე მეტი), როგორც წესი, არის წყარო ფინანსური არამდგრადობისა საბანკო სექტორში. უფრო პოზიტიური კუთხით, ინფლაციის გავლენა ფინანსურ მდგრადობაზე საკრედიტო დაწესებულებებში უნდა განიხილებოდეს 25%-ით. ამ შემთხვევაში დრო და ნასესხები კაპიტალის ღირებულება მისაღები იქნება მოქმედი სუბიექტებისთვის, ხოლო საკრედიტო დაწესებულებები შეიძლება გაზარდონ კაპიტალი, განვითარდნენ და გაფართოვდნენ მიღებული მოგების საფუძველზე.

სხვა მაჩვენებელი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს ფინანსურ და საბანკო სისტემის მდგრადობაზე, არის დისბალანსი, ბიუჯეტის დეფიციტი. როდესაც ბიუჯეტის დეფიციტი და ქვეყნის საგადასახდელი ბალანსი მშპ-სთან მიმართებაში აღემატება 8%-ს, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს სიტუაცია შეიძლება გახდეს კრიზისის მაუწყებელი. და პირიქით, დაბალანსებული,

² CAMEL მეთოდოლოგია წარმოადგენს ინდიკატორების მაჩვენებელს, რომელიც ბანკების ფინანსური მდგრადობის შეფასებისას იყენებს ხუთ ძირითად კომპონენტს: კაპიტალის ადეკვატურობას, აქტივებს; მართვას (მენეჯმენტს); მოგება-შემოსავლიანობას; ლიკვიდურობას.



პროფიციტული ბიუჯეტი არის ფინანსური მდგარდობის მაჩვენებელი ყველა დონეზე.

ბიზნესსა და საკრედიტო დაწესებულებებში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვალუტის კურსი. მაგალითად, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ზრდა, ასევე ეროვნული ვალუტის კურსის ხელოვნურად გადაჭარბებული ზრდა ამცირებს ადგილობრივი მწარმოებლების პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, იწვევს ფასწარმოქმნის მექანიზმის რღვევას, საპროცენტო განაკვეთების ზრდას, გავლენას ახდენს მსესხებლების გადახდისუნარიანობაზე და, შესაბამისად, საკრედიტო დაწესებულებების ფინანსურ მდგარდობაზე. უბიძგებს მათ სპეკულაციური ოპერაციების ჩატარებისკენ, აფერხებს ინვესტიციების ზრდის ტემპს ეკონომიკის რეალურ სექტორში.

შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორი არის საფონდო ბაზრის მდგომარეობა. ეს არის ინდიკატორი, რომელიც წარმოადგენს საფონდო ინდექსის მაჩვენებელს. საფონდო ინდექსების მნიშვნელოვანი და მოულოდნელი ვარდნის შედეგად ძლიერდება ფინანსური არამდგარდობა, რადგან კაპიტალიზაცია და, აქედან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური მდგარდობა მცირდება. ამავე დროს საფონდო ინდექსების მნიშვნელოვანი და ძალიან სწრაფი ზრდა ასევე შეიძლება გახდეს საბანკო სისტემის არამდგარდობის ერთერთი მიზეზი, რადგან ყველაზე ხშირად ამ დროს ხდება მოკლევადიანი სპეკულაციური კაპიტალის შემოღინება და საფონდო ბირჟაზე ბანკების მონაწილეობით სპეკულაციური ოპერაციების დაფინანსება.

საბანკო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უადრესად მნიშვნელოვანი და აქტუალური არის უცხოური კაპიტალის შემოსვლა საბანკო ბაზარზე. უცხოური ინვესტიციების პორტფელის შემოღინებაზე ადეკვატური კონტროლის სისტემის არ არსებობამ შეიძლება ხელი შეუწყოს საბანკო სისტემის მდგარდობის მდგომარეობის გაუარესებას. დიდი ოდენობით უცხოური ინვესტიციების პორტფელი იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის გაზრდას, აფერხებს და ამცირებს საექსპორტო საქმიანობას და აუარესებს მიმდინარე საგადასხდელო ბალანსის მდგომარეობას. ამავე დროს, სწრაფი და მნიშვნელოვანი კაპიტალის გაღინება იწვევს საპროცენტო განაკვეთების ზრდას, გადახდისუნარო მსესხებლებს და კრიზისს საკრედიტო დაწესებულებებში. ექსპერტების აზრით, წლიური ინვესტიციების შემოღინება თუ აღემატება 10%-ს მშპ-ში, ეს ბევრ ქვეყანაშიარის საშიში მაჩვენებელი. ამის საპირისპიროდ, მოკლევადიანი ინვესტიციების შემოღინება მასტაბილიზირებელ ზემოქმედებას ახდენს

საბანკო სისტემასა და მის ელემენტებზე.

საგარეო ვალის მოცულობა, სტრუქტურა და დინამიკა ასევე ზემოქმედებს მდგარდობაზე საბანკო სექტორში. მნიშვნელოვანი საგარეო ვალი – მაღალიწილით და მოკლე ვადით, უარყოფით გავლენას ახდენს საბანკო სისტემის მდგარდობაზე. ამავე დროს, მსესხებლების ზრდა საკრედიტო დაწესებულებებშიდაარასაფინანსო ორგანიზაციებში, ზრდის საგარეო ეკონომიკურ რისკებს. საბანკო სისტემის დამოკიდებულება სხვა ქვეყნების საპროცენტო განაკვეთების დინამიკაზე შეიძლება ჩაითვალოს როგორც მითითება საბანკო კრიზისის წარმოშობაზე. საგულისხმოა ისიც, რომ ეკონომიკის მონეტარიზაციის შედარებით მაღალი ხარისხი მეტწილად ეკონომიკისა და საბანკო სისტემის მაღალ მდგარდობაზე. ამ მაჩვენებლის კრიტიკული დონე დაახლოებით 30%-ია.

ფინანსური მდგარდობის მაჩვენებელს საბანკო სექტორში და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში წარმოადგენს შიდა საკრედიტო დაბანდების რეალურად ასახული წილი და დინამიკა. უმეტეს ქვეყნებში ამ მაჩვენებლის კრიტიკულ დონედ ითვლება საკრედიტო ზრდის ტემპის ორჯერ გადაჭარბება მშპ-ს ზრდის ტემპზე. წარმოდგენილი სესხების წილი ეკონომიკის საბანკო სექტორში მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ჩვენს ქვეყანაში ბევრად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. უფრო მეტიც, ევროზონის ქვეყნების შედარებისას განსხვავება მეტად მაღალია. ეს მაჩვენებლები, ერთი მხრივ, არასაკმარისი კაპიტალიზაციის დონის მაჩვენებელია საბანკო სისტემასა და მის ელემენტებში, მეორე მხრივ მიუთითებს მოსახლეობის ნდობის დონეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბანკების გადაჭარბებული კონცენტრაცია საკრედიტო დაბანდების იმ სექტორებში, რომლებიც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გარე ეკონომიკურ ბრუნვაზე (30% მეტი), შესაძენევად ამცირებს საბანკო სისტემის სტაბილურობას და ფინანსურ მდგარდობას.

მაკროეკონომიკური ფაქტორები, მათი განსაზღვრული მნიშვნელობისას შეიძლება ერთდროულად იქცნენ საბანკო სისტემის გაძლიერებისა და არამდგარდობის ინდიკატორებად. განვიხილოთ მათი გავლენა:

კონკურენციის დონე საბანკო სექტორში: საბანკო სექტორში კონკურენციის გაზრდა, ერთი მხრივ, დადებით გავლენას ახდენს საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხზე, მეორე მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს სტრუქტურული ვარდნები, თუ აგრესიული ქცევით და მნიშვნელოვანი წილით წარმოდგენილია უცხო



ოური საბანკო კაპიტალი³.

საბანკო აქტივების ხარისხი: ფასდება უკუგების დონითა და რისკიანობით. საბანკო აქტივების სტრუქტურაში შემოსავლიანი აქტივების წილი 60%-მდე უნდა ჩაითვალოს კრიტიკული წერტილად. საბანკო სისტემის, საკუთარი კაპიტალის და საკრედიტო დაბანდების დინამიკის ნაწილშიც დგინდება კრიტიკული დონე. თუ საკრედიტო დაბანდება იზრდება სისტემატურად, ვიდრე საკუთარი კაპიტალი, ეს მიუთითებს საბანკო სისტემაში გაზრდილ რისკსა და არამდგრადობაზე. პირიქით, თუ უკუგების მაჩვენებელი აქტივების დონეზე არის 80-85%, ეს მიუთითებს, რომ საკრედიტო დაწესებულებას აქვს პოტენციურად მომგებიანი აქტივები, რომელიც უზრუნველყოფს მდგრად შემოსავალს. ინდიკატორის ეს დონე მიუთითებს ფინანსური მდგრადობის გაძლიერების შესაძლებლობაზე.

საბანკო აქტივების ხარისხის გაუარესება, როგორც წესი, დაკავშირებულია რისკის დონესთან. რისკისგან დაუცველი აქტივების წილი არ უნდა აღემატებოდეს 75%-ს. საბანკო სისტემის საოპერაციო აქტივების პორტფელი, როგორც წესი, წარმოდგენილია ორი პორტფელით: ფასიანი ქაღალდებით და საკრედიტო პორტფელით. აქედან, მთავარი წილი საკრედიტო პორტფელზე მოდის. ამდენად, რაც უფრო მაღალია საკრედიტო ოპერაციების წილი საკრედიტო აქტივების ოპერაციების სტრუქტურაში, მით უფრო მაღალია რისკის დონე და შესაძლებელია საბანკო სისტემის ფუნქციონირების არამდგრადობაც. ერთი მხრივ, ეს ინდიკატორი განიხილება მაკროეკონომიკურ ბლოკში, მეორე მხრივ საბანკო საკრედიტო პორტფელში უმოქმედო სესხების წილის 10%-იანი ზრდა შეიძლება ჩაითვალოს საბანკო კრიზისის წინამორბედად.

სხვადასხვა ემიტენტების ფასიანი ქაღალდების ინვესტიციებს შეიძლება ჰქონდეს დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა საბანკო სისტემის მდგრადობაზე. საკრედიტო სტრუქტურულ პორტფელში სამთავრობო ფასიანი ქაღალდების სიჭარბეს აქვს დადებითი ეფექტი საბანკო სისტემაში აქტივების ხარისხსა და ლიკვიდურობაზე. სხვა ემიტენტების ფასიანი ქაღალდების სიჭარბე და ზრდის ტენდენცია საბანკო კრიზისის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს, თუ საფონდო ბირჟის ინდექსი 10%-იანი პუნქტით შემცირდა მის საშუალო ღირებულებასთან შედარებით.

საბანკო სისტემის კაპიტალიზაციის დონე:

ფასდება საბანკო აქტივების ხარისხის მაჩვენებელთან ერთობლიობაში, და ასევე საზედამხებელო ორგანოების საზედამხებელო კაპიტალის ადეკვატურობის მიმართ მოთხოვნების შესრულებისა და დადგენილი ტენდენციების საფუძველზე. კაპიტალის წილი საბანკო სისტემის მთლიან აქტივებში არ უნდა იყოს 10%-ზე დაბლა. იმ შემთხვევაში, თუ მდგრადობის დონე შენარჩუნებულია, მაგრამ შეინიშნება მდგრადი ტენდენცია მაჩვენებლის შემცირებისაკენ, კლასიფიცირდება როგორც წინაკრიზისული მაჩვენებელი.

სესხების თანაფარდობა დეპოზიტებთან: ასახავს ნასესხები რესურსების ჩართულობის დონეს აქტიურ ოპერაციებთან. მისი მაღალი დონე რისკის მომასწავებელია. კოეფიციენტის მნიშვნელობა 100%-ის გადაჭარბების შემთხვევაში მიგვანიშნებს, რომ საბანკო სისტემის საკუთარი სახსრები მობილიზებულია არალიკვიდურ აქტივებში, რომელიც ასევე მოსალოდნელი კრიზისის მაუწყებელია. გარდა ამისა, აუცილებელია შეაფასდეს ინდექსის დინამიკა წილი წმინდა სასესხო დავალიანებისა და არალიკვიდური ფასიანი ქაღალდებისა ძირითად დეპოზიტებში. მოსალოდნელი კრიზისის კრიტიკულ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა როცა 50%-ს აჭარბებს.

საკრედიტო დაბანდების კონცენტრაცია: მიუთითებს საკრედიტო დაბანდების რისკის დონეს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს საკრედიტო დაბანდებით ბაზრის კონკრეტულ სეგმენტში ან კლიენტებში, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო საქმიანობასთან. მსხვილი ვალდებულებების დონის გადაჭარბება საბანკო სისტემის საერთო აქტივებში 25%-ით მიუთითებს საბანკო სისტემის კრიზისისადმი მიდრეკილებაზე.

უძრავი ქონების ინვესტიციების წილი მთლიანი საკრედიტო პორტფელში: ასახავს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკრედიტო დაბანდების/გარიგებების მიმდინარე და აღმავალ ტენდენციას უძრავი ქონების ბაზარზე. მეტყველებს საბანკო სისტემის დაუცველობაზე და მოსალოდნელ კრიზისზე. იმ შემთხვევაში, თუ უძრავი ქონების ბაზარზე საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის ოპერაციების ზრდა განხორციელდება 5% პუნქტის ზრდის დინამიკით და ამ ინვესტიციების წილი 30%-მდე გაიზრდება სტრუქტურის პორტფელში, ეს უკვე არის მოსალოდნელი კრიზისის მაჩვენებელი⁴.

³ მაგალითად, ოპერაციების კონცენტრაცია ბაზრის რამდენიმე სეგმენტზე - უძრავი ქონებისა და სამომხმარებლო ბაზარზე ხელს უწყობს უცხოური საქონლის გაყიდვებს, ადგილობრივი მწარმოებლებისა და შიდა საწარმოების საზიანოდ.

⁴ საერთო დეპოზიტების სტრუქტურაში უცხოური ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების წილის 50%-მდე გაზრდა ასევე მიუთითებს საბანკო სისტემის კრიზისისადმი მიდრეკილებაზე.



მნიშვნელოვან ადგილს საბანკო სისტემის კრიზისის მაუწყებლებში იკავებენ *ფინანსური მდგრადობის ინსტიტუციური მაჩვენებლები*. მათი გავლენა შეიძლება შეფასდეს შემდეგნაირად:

სამართლებრივ ნაწილში განსაკუთრებული მნიშვნელობით უნდა გამოვეყნოთ საბანკო დეპოზიტების სადაზღვევო სისტემა, რომელიც ხელს უშლის არასანქცირებული ფულადი სახსრების მოხსნას დაზღვეული დეპოზიტების მფლობელების ანგარიშებიდან, რითაც საბანკო სისტემა მოიპოვებს და ინარჩუნებს ნდობას. ამავე დროს, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა ზრდის დაკრედიტების სარისკო პოლიტიკის გატარებას. იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტების მზღვეველი კორპორაცია არ ითვალისწინებს მათი ბიზნესის რისკის ხარისხს საკრედიტო ორგანიზაციების შენატანების დადგენისას, ის ფაქტიურად ხელს უწყობს მართვის არადაამაკაყოფილებელი პრაქტიკის დანერგვას. ფინანსური მდგრადობის ზემოაღნიშნული ინდიკატორის შეფასებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დამზღვევი საკრედიტო დაწესებულებების მონიტორინგს, რადგან მათი ფუნქციების რეალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობები ზრდის მგრძნობელობას მოსალოდნელი კრიზისის მიმართ.

საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა დამოკიდებულია მისი ელემენტების – საკრედიტო ორგანიზაციების ფინანსურ მდგრადობაზე. საბანკო სისტემის წინაკრიზისულ მდგომარეობად შეიძლება ჩაითვალოს სიტუაცია, როდესაც ფინანსურ სირთულეებში არებული ბანკების წილი შეადგენს 20%-ს ბაზარზე ფუნქციონირებადი საერთო რაოდენობიდან. იმდენად, რამდენადაც საკრედიტო ორგანიზაციების კლიენტები (დეპოზიტორები და კრედიტორები) გადამწყვეტ როლს თამაშობენ აქტივებისა და პასივების დაბალანსებული სტრუქტურის ფორმირებაში, ფინანსურად სუსტი კომპანიების არსებობა ბაზარზე უარყოფითად მოქმედებს ფინანსურ მდგრადობაზე. ფინანსურად სუსტი კომპანიების შეფასება ირიბად ხორციელდება საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასებისას და უფრო დეტალურად, საკრედიტო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის მონიტორინგის საფუძველზე. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის განხორციელების წესები ხელს უნდა უწყობდეს გამჭვირვალე ფინანსურ ანგარიშგებას.

მართალია, საკრედიტო ორგანიზაციების ზედამხედველობისა და რეგულირების სისტემის ეფექტურობაარ გამოიხატება რიცხობრივ მაჩვენებელში, მაგრამ, ირიბად, ის იძენს რიცხობრივ

შეფასებას, როდესაც ზედამხედველობის ორგანოები ვერ ჰვრეტენ კრიზისულ მოვლენებს საბანკო სექტორში და ვერ ახორციელებენ დროულ პრევენციულ ზომებს. ამასთან, ინფორმაციის გამჟღავნების სტანდარტები არის ხარისხობრივი, თუმცა, მის გამოყენებაზე დამოკიდებულია საბანკო სისტემის მდგრადობა, რომელიც თვითონ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფასდება რაოდენობრივი პარამეტრების სისტემით, რაც ეფუძნება საიმედო, სარწმუნო და ღია ინფორმაციას საბანკო სისტემის ელემენტების ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

დასკვნა: ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას თეზისი იმის თაობაზე, რომ ფინანსური მდგრადობა საკრედიტო დაწესებულებებში არის საერთო მდგრადობის ერთ-ერთი კომპონენტი, და ამასთან, სისტემაშემქმნელი ელემენტი. საკრედიტო ორგანიზაცია, როგორც მოქმედი სუბიექტი, ჩართულია ურთიერთობების სისტემაში ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად, განიცდის მრავალი სუბიექტის მხრიდან შეფასებას: საზედამხედველო ორგანო (ეროვნული ბანკი), სარეგულაციო სააგენტოები, აუდიტორული ფირმები, ბანკი-კონტრაგენტები, თავად საკრედიტო ორგანიზაციები. თითოეულ ამ სუბიექტს გააჩნია სხვადასხვა მიზნები, სხვადასხვა საინფორმაციო ბაზა და მეთოდიკა, მიღებული შედეგების შეფასებაზე რეაგირების სხვადასხვა საშუალებები.

ამიტომ, საკრედიტო ორგანიზაციების ფინანსური სტაბილურობისა და მდგრადობის შეფასების მეთოდები, ზემოაღნიშნული სტრუქტურების განსხვავებული ინტერესების გათვალისწინებით, განსხვავებულია ერთმანეთისგან. ამასთან, რადგან შეფასება ეხება ერთი და იგივე ობიექტს, საბოლოო შედეგები უნდა იყოს არსებითად ერთნაირი, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოყენებული მეთოდების მრავალფეროვნებისა და განსხვავებულების მიუხედავად, შემუშავებული და რეალიზირებული უნდა იყოს მათი ფორმებისა და განხორციელების ერთიანი მეთოდოლოგია. ამავე დროს, ჩვენი აზრით, ინდიკატორების შეფასების შერჩევა და კრიტერიუმები უნდა იცვლებოდეს ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული გარემოს სტაბილური, არასტაბილური, წინსაკრიზისო და კრიზისული მდგომარეობის გათვალისწინებით.

დაბოლოს, კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი პირობებისა და ფაქტორების განხილვა საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალ-



ისწინებით საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო სისტემის მდგრადობა და საიმედოობა განხილული უნდა იქნეს დინამიკაში, არა ერთმანეთისგან

დამოუკიდებლად, არამედ ერთმანეთთან კავშირში, იმისთვის რომ მივიღოთ უფრო სრული და ხარისხიანი სურათი მოცემულ ქვეყანაში საბანკო სისტემის ფინანსურ მდგრადობაზე.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ლექთაძე ი., საერთო საბანკო მდგრადობის ინდექსი. თბილისი, 2013. ტომი I, N3, 55გვ.
2. ასათიანი გ., ცაავა გ. კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). თბილისი, 2014. – 500 გვ.
3. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე. სახელმძღვანელო. თბილისი, 2014. – 567 გვ.
4. საინფორმაციო სააგენტო პირველი „ფინანსური მდგრადობის ინდიკატორების შესახებ კონფერენცია გაიმართა“ http://www.pia.ge/show_news.php?id=17012&lang=geo.
5. ინგოროყვა ა., ფიჩხაია ზ., ფიჩხაია ი. საბანკო ოპერაციები. ლექციების კურსი. თბილისი, 2009. – 470 გვ.
6. მერჯანი მ., ბანკების კონკურენცია და უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს საბანკო სისტემაზე. სადოქტორო ნაშრო-

- მის ავტორეფერატი ბიზნესის მართვაში (ფინანსები და საბანკო საქმე) / შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბიზნესის მართვის ფაკულტეტი. თბილისი 2011. – 29 გვ.
7. ცაავა გ., ხანთაძე გ. საბანკო მენეჯმენტი. სახელმძღვანელო. თბილისი, 2014. – 800 გვ.
8. ცაავა გ., ხანთაძე გ. საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). სახელმძღვანელო. თბილისი, 2014. – 600 გვ.
9. ფინანსები, ინვესტიციები, საბანკო საქმე. ენციკლოპედიური ტერმინოლოგია (ინგლისურ-საქართველო). შემდგენელი პროფ. ლ. ქოქიაური. თბილისი, 2009. – 1079 გვ.
10. ბარბაქაძე ხ., საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცების აუცილებლობა. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgibin/library.exe?e=d0100000-off0ekonomik-001-0100-00-0prompt-00>.

FINANCIAL SUSTAINABILITY CRITERIA AND INDICATORS OF BANKING INSTITUTIONS

Summary

IRMA LOMADZE – doctoral candidate, GTU

This article, based on the literature resources, discusses the indicators and criteria of financial stability in the banking sector. The analyses have shown that a variety of methods are used to measure financial soundness. These methods offer aggregate index of the financial stability, but differ from one another as they use different ratios in the assessment.

The indicators of financial stability are presented in 2 groups – Main and Recommended. The difference between these 2 is the following; the Main ratios are mandated by every country, while Recommended indicators are only used per requirement – depending on the specificity of each state.

The Main financial stability indicators cover the following ratios: Capital Adequacy Ratio, Asset Quality Ratio, Profitability Ratio, Liquidity Ratio, Sensitivity to Risk Ratio.

Evaluating the defining conditions of reliability and stability of commercial banks based on the experience of international and well developed markets with free economy is significant. The financial indicators should not be taken in isolation, but considered and linked together, this will ensure to capture more valuable and complete picture of financial soundness of the banking sector.

Key words: net interest margin, an indicator of financial stability, capital adequacy, liquidity, balance level, risk management, banking system capitalization.